



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კონსტანტი

კონსტანტი (კოსტანტი) კახი (768–10. XI. 853), ქართველი ერისთავი. იბრძოდა არაბთა სარდლის, ბულა თურქის წინააღმდეგ. 853 წ. 26 აგვისტოს ის და მისი ძე თარხუჯი არაბებმა შეიპყრეს და კ. კ. წამებით მოკლეს. ატენის სიონის ერთ-ერთ წარწერაში ის მოხსენიებულია კახადს სახელით. კ. კ-ს წამება აღწერილია „კოსტანტი კახის მარტვილობაში“.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ კ. კ. IX ს-შივე შერაცხა წმინდანად. წმ. დიდმოწამე კ. კ-ის ხსენების დღეა 10(23) ნოემბერი.

წყარო: Житие и мученичество святого мученика Константи Грузина, который был замучен царем вавилонян Джафаром, ძვ. ქართულიდან თარგმნა კ. კუციაშვილმა, ნ. ვაჩნაძემ, თბ., 1978.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ.–ათენი, 2003; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2, თბ., 1983.
